В 1960—1970 гг. все разновидности тяжелой формы скарлатины в значительной степени уменьшились, а гипертоксическая и геморрагическая исчезли.

Таким образом, при анализе клинических особенностей скарлатины на протяжении 1938—1970 гг. и полученных нами и рядом других авторов данных о стойкости и персистирующем характере наблюдающейся при этом аллергической перестройки организма установлено, что проблема скарлатины из узкой инфекционной перерастает в широкую клинико-иммунологическую, общепатологическую проблему стрептококковых заболеваний.

Тбилисский государственный
медицинский институт

(Поступило 30.5.1977)

მასპირებთული მედიცინა

დ. იაშვილი

ქუთაისის ეპიდემიოლოგიისა და კლინიკის თავისებურებანი
საქართველოში

რეზიუმე

შესწავლილია ქუთაისის ეპიდემიოლოგიისა და კლინიკის თავისებურებანი საქართველოში ბოლო 40 წლის მანძილზე, გაანალიზებულია ამ დავადების მიმდინარეობის თავისებურებანი და მისი ევოლუციური ძვრები როგორც ეპიდემიოლოგიური, ისე კლინიკური ფორმების ცვალებადობის შესაბამისად.

წამოყენებულია კონკრეტული წინადადებანი ამ ინფექციის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობის ამალღებისათვის, განსაკუთრებით დაავადების ე. წ. იოლი და „წაშლილი“ ფორმების პროგნოზირებისა და დიაგნოსტიკებისათვის. დასაბუთებულია ავტორის მიერ პირველად გამოყენებული ლუმინესცენტური ოპტიკური ვარიანტისა და „კანის ფანჯრის“ ტესტის მეთოდის ეფექტურობა.

EXPERIMENTAL MEDICINE

D. Y. IASHVILI

SOME PECULIARITIES OF THE EPIDEMIOLOGY AND CLINICAL MANIFESTATIONS OF SCARLET-FEVER IN GEORGIA

Summary

The peculiarities of the epidemiology and clinical manifestations of scarlet-fever in Georgia over the past 40 years have been studied. The characteristic course of the disease and its evolutionary changes according to the variation of both epidemiologic and clinical forms are analyzed.

Suggestions are made towards raising the effectiveness of controlling this infection with special emphasis on the prognosis of so-called mild and latent cases of the disease. The effectiveness of the luminescent optic variant and that of 'skin lumen' test—new methods used by the author for the first time—is substantiated.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. С. В. Носов. Эволюция детской инфекции в периоде активной борьбы за их ликвидацию. М., 1961.
2. В. Н. Додонов и др. Материалы XV Всесоюзного съезда ЭМИ, ч. II, Тбилиси, 1970.
3. В. И. Иоффе. Детские инфекции, т. VI, 1967, 229—241.
4. К. В. Блюменталь и др. Материалы XV Всесоюзного съезда ЭМИ, ч. II, Тбилиси, 1970.
5. Е. С. Виноградов и др. Материалы XV Всесоюзного съезда ЭМИ, ч. II, Тбилиси, 1970.
6. А. Н. Аванесов и др. Материалы XV Всесоюзного съезда ЭМИ, ч. II, Тбилиси, 1970.

Р. А. САРЧИМЕЛИЯ

ЭКОНОМИКО-МАТЕМАТИЧЕСКАЯ МОДЕЛЬ ОПРЕДЕЛЕНИЯ ПОТРЕБНОСТИ В СПЕЦИАЛИСТАХ ДЛЯ ОТРАСЛЕЙ НАРОДНОГО ХОЗЯЙСТВА

(Представлено академиком П. В. Гугушвили 1.6.1977)

Для определения потребности в специалистах в работе составлена экономико-математическая модель оптимального планирования с целевыми функциями: производительности труда (максимум) и затрат на подготовку и переподготовку специалистов (минимум). В ограничения модели входят те основные показатели, которые с разных точек зрения учитываются при расчете потребности в специалистах и характеризуют отрасль. Число этих показателей обозначим через R .

Пусть в базисном периоде времени W_k — число работников и V_k — объем выпускаемой продукции за год одного k -го типа производства; для характеристики r -го показателя входящего в ограничение нужной единицы k -го типа производства, вводим d_{rk} .

Обозначим через α_k оптимальное, а через g_k существующее в базисном периоде времени число производств k -го типа (возможно, $\alpha_k = g_k$) и через p число разновидностей по типам производств, тогда $\sum d_{rk} g_k$ — количество r -го показателя по всем p типам $\sum g_k$ -производств.

Рассмотрим задачу: найти $\alpha = (\alpha_1, \alpha_2, \dots, \alpha_p) \geq 0$ и $\min \delta$, удовлетворяющие условию

$$\max_{1 < r < R} \frac{1}{\lambda_r} \left| \sum_{k=1}^p d_{rk} (\alpha_k - g_k) \right| = \delta,$$

где λ_r введена для сравнительно одинакового изменения по δ всех $r = \overline{1, R}$ показателей. Назовем λ_r масштабным коэффициентом и вычислим ее, например, по формуле

$$\lambda_r = \max_{1 < k < p} d_{rk}, \quad r = \overline{1, R}.$$

Обозначим через a_{ik} потребность одного k -го типа производства в i -й должности, которая должна быть обеспечена специалистами; аналогично x_j — потребное число j -х специалистов, n — общее число специальностей, y_i — потребное число i -х должностей, m — общее число должностей, x_{ij} — количество j -х специалистов, работающих в i -й должности, c_{ij} — стоимость переквалификации одного j -го специалиста в i -ю должность, c_j — стоимость подготовки одного j -го специалиста.

Предложенная модель определения потребности в специалистах имеет вид

$$Q(\delta) = \max \frac{\sum_{k=1}^p V_k \alpha_k}{\sum_{k=1}^p W_k \alpha_k}, \quad (1)$$

$$\alpha_k \geq 0, \quad k = \overline{1, p}, \quad (2)$$

$$\left| \sum_{k=1}^p d_{rk} (\alpha_k - g_k) \right| \leq \lambda_r \delta, \quad r = \overline{1, R}, \quad (3)$$

$$x_{ij} \geq 0, \quad i = \overline{1, m}; \quad j = \overline{1, n}, \quad (4)$$

$$\sum_{j=1}^n x_{ij} = \sum_{k=1}^p a_{ik} \alpha_k = y_i, \quad i = \overline{1, m}. \quad (5)$$

$$\sum_{i=1}^m x_{ij} = x_j, \quad j = \overline{1, n}, \quad (6)$$

$$C(\delta) = \min \sum_{i=1}^m \sum_{j=1}^n (c_{ij} + c_j) x_{ij}, \quad (7)$$

где (1) выражает максимизацию производительности труда, а (7) — расходы на подготовку и переподготовку специалистов, (2)—(3)—ограничения на α_k . Из (1)—(3) найдем $\alpha_k = \alpha_k(\delta)$, где δ — параметр, и назовем ее базисным периодом при $\delta=0$. (5), (6) выражает распределение специалистов по должностям.

Если в (1)—(7) α_k , x_{ij} , x_j , y_i неизвестны (при малых α_k и x_{ij} на них накладывается требование целочисленности), тогда имеем задачу оптимального программирования с двумя целевыми функциями.

Рассмотрим задачу (1)—(3), где определим число производств разного типа, при малом δ представим $\alpha_k(\delta)$ в линейном виде $\alpha_k = \alpha_k^0 + \delta z_k$ и, допустив, что число работников в отрасли не возрастает, из (1)—(3) для нахождения z_k получим задачу

$$\max \sum_{k=1}^p V_k z_k,$$

$$(1 - \operatorname{sgn} \alpha_k^0) z_k \geq 0, \quad k = \overline{1, p},$$

$$\left| \sum_{k=1}^p d_{rk} z_k \right| \leq \lambda_r, \quad r = \overline{1, R},$$

решение которой обозначим через z_k^0 , и найдем

$$\delta_1 = \min \frac{\alpha_k^0}{z_k^0} \quad \text{для } z_k < 0 \text{ при } k = \overline{1, p}.$$

С учетом того, что α_k^0 — решение (1)–(3) при $\delta = 0$, получим

$$\alpha_k = \alpha_k^0 + \delta z_k^0, \quad k = \overline{1, p} \quad \text{для } \delta \in [0, \delta_1].$$

Затем, зная α_k и y_i как линейные функции δ , с помощью (4)–(7) решим параметрическую задачу линейного программирования, где (6) выражает потребность в специалистах.

Если имеем данные, характеризующие каждое производство отрасли в базисном периоде времени, тогда для нахождения вышеуказанных показателей, на основе которых составлена модель (1)–(7), по типам производств определим условное производство, вычислив среднее значение показателей, дисперсию, коэффициент вариации и т. д. При этом значения показателей сгруппируем по типам производств так, чтобы соответствующий коэффициент вариации был по возможности малым числом (например, до 30%).

Предложенный подход для определения потребности в специалистах на данном этапе представим как комплекс вычислительных работ, начав обработку данных методами математической статистики, составив на их основе модель (1)–(7) и решив задачи линейного программирования.

В [1] для (1)–(7) в качестве примера рассмотрены результаты вычисления с целью установления тенденции изменения потребности в специалистах по должностям и профессиям.

Определение потребности в специалистах является одним из основных вопросов планирования образования, и многие сложные экономические проблемы по прогнозированию потребностей, планирования подготовки и распределения специалистов изучены еще недостаточно. В этом направлении и по применению экономико-математических методов ведется интенсивная работа, особенно по разработке эффективных методов определения потребности в специалистах [2, 3].

Расчеты при определении потребности в специалистах являются трудоемкими и требуют предварительного проведения больших подготовительных работ, поэтому применяются так называемые косвенные методы: математической статистики и экспертных оценок. Но они не позволяют в достаточной мере конкретизировать потребность в специалистах и являются общими [3].

Предложенная в настоящей работе модель составлена на конкретной основе и является своеобразной попыткой определения потребности в специалистах отраслей народного хозяйства с применением аппарата линейного программирования.

Академия наук Грузинской ССР
Институт экономики и права

(Поступило 2.6.1977)

რ. სარჩიმელია

სახალხო მუშროვის დარგებისათვის სპეციალისტებზე მოთხოვნილების განსაზღვრის ეკონომიურ-მათემატიკური მოდელი

რეზიუმე

შედგენილია ოპტიმალური პროგრამირების (1)—(7) ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი მიზნის ფუნქციებით: შრომის მწარმოებლურობა (მაქსიმუმი) და სპეციალისტების მომზადებასა და გადამზადებაზე დანახარჯები (მინიმუმი). მოდელის შეზღუდვებში შედიან ის ძირითადი მაჩვენებლები, რომლებსაც ითვალისწინებენ სპეციალისტებზე მოთხოვნილების გამოთვლის დროს და ახასიათებენ დარგს.

წრფივი პროგრამირების აპარატის გამოყენებით სპეციალისტებზე მოთხოვნილების განსაზღვრისათვის თანმიმდევრულად იხსნება (1)—(3) და (4)—(7) ამოცანები.

ECONOMICS

R. A. SARCHIMELIA

A MATHEMATICAL MODEL OF EVALUATION OF THE DEMAND
 IN SPECIALISTS FOR VARIOUS FIELDS OF THE NATIONAL
 ECONOMY

Summary

A mathematical model of optimal programming with aim functions of labour productivity (maximum) and the cost of training and re-training of specialists (minimum) is considered. The restrictions of the model involve the main indices characterizing the branch and taken into consideration from different points of view in the evaluation of demand in specialists.

To determine the demand in specialists problems (1)-(3) and (4)-(7) are successively solved.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. ნ. იაშვილი, ე. კაკულია, რ. სარჩიმელია. მაცნე, ფილ. ეკონ. და სამართლის სერია, № 3, 1977.
2. М. А. Бермант, Л. К. Семенов, В. Н. Сулицкий. Математические модели « планирование образования. М., 1972.
3. Сб. «Проблемы определения потребности народного хозяйства в кадрах специалистов». М., 1975.



УДК 801.3

ЯЗЫКОЗНАНИЕ

Ю. В. ЗЫЦАРЬ

ОНОМАСИОЛОГИЯ И ТИПОЛОГИЯ
(ПО ДАННЫМ ЯЗЫКА БАСКОВ)

(Представлено академиком Ш. В. Дзидзигури 27.5.1977)

1. В плане номинации или лексической объективации [1] в баскском языке обращают на себя внимание, по крайней мере своей многочисленностью, следующие факты. Баск. *irabazbide* — наречное по форме образование с буквальным значением «путем, способом зарабатывания» — является существительным со значением «батарак», а сочетание *ezbide* букв. „не путь“ — это прилагательное со значением „незначительный“ (можно учесть для сравнения *gizabide* „по-человечески“, в противоположность *kantubide* „сюжет песни“ и т. п.). Суффикс *-ekin/kin* является словоизменителем со значением „с“: *lagunekin* „с товарищем“ от *lagun* „товарищ“, однако он же образует прилагательные *haurkin* „детолюбивый“, букв. „с ребенком“. Послелог или существительное в форме направительного падежа *-bea* „вниз, книзу“, будучи вторым компонентом в сочетаниях с существительными *min* „соль“, *izi* „страх“ и т. п., образует прилагательные *minbea* „чувствительный“ (букв. „боли вниз“), *izirega* „пугливый“ (букв. „страху книзу“) и т. п. и стало суффиксом прилагательных со значением как бы „склонный к чему-то“ > „поддающийся чему-либо“. Ст существительных *zug* „дерево“, *hargi* „камень“, *ikatz* „уголь“ и др. образуются *zugin* „плотник“, *argin* „каменщик“, *ikazkin* „угольщик“. Имеющийся здесь суффикс *-gin, kin* совпадает с *egin* „делать, делающий“. Элемент *oi* представляет собой тот корень, который, пользуясь выражением А. А. Потемни, „прямо примыкает к дофлексивному периоду“ [2], от него самого образуются *oitu* „привыкать, иметь обыкновение, быть привычным, обычным“ *oitura* „обычай“ и т. д. Однако *bizkarroi* букв. „спинной *oi*“ является именем со значением „паразитический, паразит“./ Лат. *fundus* „дно, основа“ в романской форме *hondo* стало в баскском, с одной стороны, суффиксом существительных со значением „дерево“ (*rikondo* „фиговое дерево“), с другой, через значение „подножие, близость“ — послелогом „рядом, возле, после“, причем с такой же легкостью подверглись подобной грамматизации и многие другие слова романского происхождения. Вместе с тем, *bazkariondo* означает по-баскски не только „после обеда“, но и „послеобеденное время“, а *gerlariondo* „ветеран“ в буквальном переводе П. Лафитта [3] — *lapres-guerrier*, т. е. „послевоин“. Если почти во всех этих случаях словообразователи суффигируются, то иногда они префигируются, точнее, имеет место тенденция к превращению в префикс препозируемого компо-



нента сложных слов: баск. baso „лес, горы, дебри“ входит в композиты basaurde „кабан“, где urde— „свинья, basajaun „леший“, где jaun— „господин, хозяин“ basahate „дикая утка“, basamahasti „дикая лоза“, basasto „дикий осел“, basamiriku „знахарь“, где miriku— „врач“, basahalge „ложный стыд“ и т. д. Относительно всех этих случаев П. Лаффит [3, стр. 33] говорит о „прилагательном в форме префикса basa“. Такая тенденция поразительна, потому что префиксация вообще в баскском языке жива главным образом лишь в личной форме глагола, а в остальных сферах давно господствует только суффиксация и многие мертвые префиксы ныне с большим трудом вскрываются лишь с помощью этимологических операций.

2. Для уяснения всех этих фактов надо, нам кажется, исходить прежде всего из некоторых фундаментальных особенностей типологии языка басков. Известное представление о последних можно почерпнуть уже в аналогичных явлениях некоторых романских и германских языков — путь, по которому в свое время с успехом шел академик В. Ф. Шишмарев [4]. Баск. bazkariondo „после обеда“, например, явно стало существительным в силу такой же субстантивации (за учет артикля и т. д.), какая имела место во фр. apres midi > l'apres-midi или англ. after noon > the after-noon (a good after-noon и т. п.). Если бы во французском или английском подобные образования были распространены достаточно широко, то в этих языках можно было бы субстантивировать и такие сочетания, как après (être) guerrier, after (having been) soldier, что дало бы нам существительные l'apres-guerrier, the after-soldier и т. д., а это в конечном счете привело бы к превращению предлогов après, after в нечто вроде аффиксов со словообразовательным значением. Но именно таким аффиксом и является баск. ondo „после“. На основе широкого распространения субстантивации, очевидно, возник и ряд других подобных же баскских суффиксов.

3. Дело, однако, не только в субстантивации и в широте ее распространения. Нижеследующие примеры покажут нам, как далеко можно в баскском языке зайти, начиная с субстантивации (хотя в то же время и не отрываясь от нее). От баск. erri „страна“, „местность“ имеем erriko „местный“, откуда с артиклем—errikoa в значении „земляк“; от sal-etxe букв. „продажи дом, магазин“—sal-etxekoa с артиклем „продавец“ (оказионально); etxe-bazter „дома округа“, „усадьба“, etxe-bazterko (прилаг.) „усадебный, дворовый“—etxebazterkoa (существ.) „какая-либо деталь, часть усады, двора“; zubi „мост“—zubira „к мосту“—zubiratu „идти к мосту“, zubirako (прилаг.) „попутный к мосту“—zubirakoa (существ.) „попутчик к мосту“, „тот или то, что ведет к мосту“; etxe-zaharregarra „вплоть до старого дома“—etxe zaharregarra (прилаг.) „принадлежащее тому, что доводит до старого дома“ и то же образование с артиклем „тот или то, что доводит до старого дома“; аналогичным образом etorriko delakoa „тот, о ком говорят, что он придет“ [5], alabatzatekoa „тот, кто живет заботами о дочери“; saldu duguna „наш запроданник, запродажа“, где saldu dugu означает „мы его продали“, saldu dugun „которого мы продали“, saldu dugunetik „из нашей запродажи“, saldu duguneti-kakoa „некто или нечто из

нашей запродажи"; это последнее образование уже является, конечно, очень искусственным и должно встречаться очень редко, но оно дает представление о тех безграничных возможностях, которыми располагает в этом плане баскский язык. Приведем еще один пример этого рода: баск. *adiskide* „друг“—*adiskidearen* „друга“ (род. пад.)—*adiskidearega* „нечто из принадлежащего другу“, скажем из его снаряжения, *adiskidearengako* „нечто относящееся к этому снаряжению“ и с артиклем „человек, который занимается этим снаряжением“; *aditu* „прослушивать“—*aditze* „прослушивание“—*aditzeko* „предназначенный для прослушивания“—*aditzekoaren* то же в род. падеже—*aditzekoarena* „нечто, относящееся к предназначенному для прослушивания“ и т. д. Как видим из всего этого, сама субстантивация при всей ее широте является в баскском лишь частью, одним из проявлений некоего фундаментального принципа, обеспечивающего необычайную свободу всякого рода конверсий и трансформаций, разнообразие комбинаций суффилируемых элементов, общую повышенную лабильность строя.

4. Одно из порождений такого строя — широкая немаркированная лексическая объективация: *lotsagabe* означает „без стыда“ (*lotsa* „стыд“—*gabe* привативный суффикс), с артиклем это могло бы быть существительное, скажем „бесстыдство“, использование того же образования без всяких маркеров в роли определения: *gizon lotsagabe* „человек без стыда“ способно сделать из него прилагательное, откуда и происходит действительно существующая большая группа прилагательных с тем же суффиксом (*dohakabe* „несчастный“ и др.). Здесь и находят свое объяснение упомянутые нами выше *ezbide* „незначительный, мелкий“, букв. „не путь“, *hautkin* „детолюбивый“, *minbea* „чувствительный“, букв. „к боли вниз“, т. е. как бы „стремящийся к боли“, „ладкий на нее“, *irrigiga* „смешливый“, букв. „смеха желание“ и др. (ср. постпозитивную группу определения без маркера *txogri raro gogri* „птица-красногрудка“, букв. „птица горло красное“ [5, стр. 83]). Отсюда, видимо, хотя бы отчасти и такие явления, как *gose* „голод“, „голодный“, *irabazbide* „батрак“ как субстантивированное наречие „способом зарабатывания“ (живущий) и т. д., ср. также (по суффиксу *-go*, *-kigo*) *egunego* „ежедневно“ от *egun* „день“, *belargiro* „время трав“ от *belar* „травы“, *aharxikigo* „баран, который дает две шерсти в год“ и т. п. Общая повышенная лабильность строя объясняет нам, почему в баскском языке так легко грамматизируются различные лексические элементы, в том числе романского происхождения, вновь рождаются (несмотря на свою изжитость) префиксы в композитах, почему существует смешанный статус для ряда элементов, таких как *kume* „дитя“ (слово и суффикс), т. е. факт большой размытости границ между уровнями языковых элементов и т. д. Справляясь от этой черты строя, можно было бы, вероятно, получить гораздо более точную и плодотворную типологическую характеристику баскского языка, чем просто „агглютинативный“. В плане той же лексической объективации внимание лингвиста привлекают при такой черте уже разнообразие и широта „работы“ соответствующих способов, из которых некоторые пока едва лишь известны нам—по таким примерам, как франц.

les affaires > les choses à faire или указанное англ. afternoon и др. Далее, в плане ономастиологии строй баскского языка нередко ставит нас перед теми проблемами, которые уже “возбуждены” в лингвистике немецким сложным словом: лексема, неологизм, нечто окказиональное или чисто рабочее временное „сцепление“? (Речь идет при этом о своеобразии даже не порождения, а „зарождения и высвобождения“ номинативного нового из подобных ему—бесчисленных при указанном строе—образовачий). К этому примыкает и весьма интересный вопрос о природе и статусе таких (порожденных той же типологией) образований, как баск. etxe bazterkoa букв „относящаяся к усадьбе“ (сопост. груз. სახლისი).

Тбилисский государственный университет

(Поступило 27.5.1977)

ენათმეცნიერება

ი. ზიცარი

ონომასიოლოგია და ტიპოლოგია

(ბასკური ენის მონაცემების მიხედვით)

რეზიუმე

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ე. წ. აგლუტინაციური გრამატიკული წყობით ბასკური ენა ტიპოლოგიურად ლაბილური ენაა, რაც უზრუნველყოფს მისი ყოველგვარი კონვერსიისა თუ ტრანსფორმაციის, სუბსტანტივაციის და ა. შ. იშვიათ თავისუფლებას.

LINGUISTICS

Yu. V. ZYTZAR'

ONOMASIOLOGY AND TYPOLOGY

(as exemplified by the Basque language)

Summary

It is suggested that due to its agglutinative grammatical structure the Basque is a typologically flexible language, permitting unique freedom of all kinds of conversion, transformation, substantivation, etc. Since this feature has hitherto received little attention, it warrants a special study aimed at producing a comprehensive typological description of the Basque. The author has made an attempt at tackling the problem through a study of the system of naming in the Basque language.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. И. С. Торопцев. Ученые записки ОГПИ, XXII. Орел, 1954.
2. А. А. Потеня. Из записок по русской грамматике, I. Харьков, 1958, 28.
3. P. Lafitte. Grammaire basque, Bayonne, 1962, 39.
4. В. Ф. Шишмарев. Очерки по истории языков Пиренейского полуострова, М.—Л., 1941, 39—40.
5. R. Lafon. Bulletin de la Société de Linguistique de Paris, 59 (1964), № 1, 83—84.



მ. მიქელაძე

ენის შინაარსობრივი სტრუქტურის როლი სიტყვათა ლაპარაკის პროცესში

(ბაცბურ-ქართული ორენოვნების მასალების მიხედვით)

(წარმოადგინა აკადემიკოსმა შ. ძიძიგურმა 20.6.1977)

ძნელი წარმოსადგენია სიტყვა ერთბაშად გამოვიდეს ხმარებიდან ანუ დაიკარგოს; ეს პროცესი ლექსიკური ერთეულების თანდათანობითი არქაიზაციის გზით ვითარდება. ამიტომაც ამა თუ იმ ლექსემის მიერ არქაული იერის შექმნას მისი დაკარგვის გზაზე დადგომის სიმპტომად მივიჩნევთ.

სიტყვათა არქაიზაცია შეიძლება სხვადასხვა გარემოებით იყოს შეპირობებული, როგორცაა:

1. საგნის გამოსვლა ხმარებიდან; ასეთ შემთხვევაში ამბობენ, რომ „საგანთა ბედი წყვეტს სიტყვათა ბედს“ [1].

2. სიტყვის მიერ ლექსიკური პარალელის შექმნა. ეს პარალელი შეიძლება ისევ მშობლიურ ნიადაგზე წარმოიქმნას ან უცხო ენიდან შემოვიდეს. ასეთ შემთხვევაში შეიძლება გვეთქვას, რომ სიტყვა წყვეტს სიტყვის ბედს. პირველს სიტყვათა ისტორიზმებად ქცევას უწოდებენ, მეორე კი სიტყვათა არქაიზაციის სახელითაა ცნობილი. როგორც საკუთრივ არქაიზმები, ისე ისტორიზმები უდამწერლობო ენაში უკვალოდ იკარგება, დამწერლობის მქონე ენას კი ენახება ლექსიკონებსა თუ სხვა სახის წერილობით ძეგლებში. მიუხედავად ამისა, აქტიური სიტყვათხმარების პროცესში მონაწილეობის მიხედვით ასეთი ერთეულები დაკარგულად უნდა ჩაეთვალოს დამწერლობის მქონე ენასაც.

გარდა აღნიშნულისა, ბაცბურ-ქართული ორენოვანი სიტუაცია სიტყვათა არქაიზაციისა და დაკარგვის კიდევ ერთ, თავისებურ გზას წარმოგვიჩენს. მისი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მხოლოდ ორენოვანი სიტუაციისათვის არის დამახასიათებელი და შეპირობებულია კონტაქტში მყოფ ენათა შინაარსობრივი სტრუქტურების თვისობრივი სხვადასხვაობით.

ენები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მარტო ლექსიკური ფონდითა და გრამატიკული წყობით. მათ შორის თვალსაჩინო განსხვავებას ქმნის აგრეთვე საგნებისა და მოვლენების სხვადასხვაგვარი დაყოფა და სახელდება. ენის ეს მხარე შინაარსობრივი სტრუქტურის სახელწოდებითაა ცნობილი [2]. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ კონტაქტში მყოფ ენებს შორის ამ თვალსაზრისით არსებული სხვადასხვაობა გარკვეულ როლს ასრულებს სიტყვათა შექმნისა თუ დაკარგვის პროცესებში. ამჯერად ჩვენ სიტყვათა დაკარგვა გვიანტერესებს.

მიუხედავად ბაცბურზე ქართული ენის მრავალსაუკუნოვანი ინტენსიური გავლენისა, ამ ენებში ჯერ კიდევ შეიმჩნევა გარკვეული განსხვავება საგნებისა და მოვლენების კლასიფიკაციისა და აღწერის თვალსაზრისით. ბაცბურ-ქართული ორენოვნების დღევანდელ საფეხურზე სწორედ ამ რიგის განსხვავებათა გასწორება წარმოებს. ბაცბურ კონტაქტებში, სადაც ქართული ენის შესაბამისი კონტექსტის ფონზე ესა თუ ის სიტყვა უჩვეულოდ გამოიყურება, ხდება წევრების შეცვლა ამ უკანასკნელთან მიახლოებული, ისევ ბაცბური ერთეულებით. ეს ცვლა თანდათანობითი ხასიათისაა და ხორციელდება შეცვლილი ლექსემის არქაიზაციის გზით. სიტყვათა ჩვეულებრივი არ-

ქაიხაიციისაგან განსხვავებით მოძველებულ იერს იძენს სიტყვის გამოყენება ზოგიერთ კონტექსტში, თუმცა ზოგჯერ ამავე მიზეზით სიტყვათა მთლიანი არქაიზაციაც ხდება. ასეთი შემთხვევების შესახებ შეიძლება გვეთქვას, რომ ენის შინაარსობრივი სტრუქტურა წყვეტს სიტყვის ბედს.

დავასახელებთ სათანადო მაგალითებს:

1. დეკარ — გადახდას ნიშნავს და ჯერხანად მტკიცედ დგას ისეთ კონტექსტებში, სადაც მისი ხმარება ქართულის ანალოგიურია. ბაცბურ ენაში ის ქმნიდა ქართულისათვის უჩვეულო ერთ წყვილს: *ჲა დეკარ „ზამთრის გადახდა“* ანუ გატარება. იმის გამო, რომ ქართულში *ზამთრის გატარება* იხმარება და არა *გადახდა*, დღეს ამ კონტექსტში ბაცბები დიკარ — გატარება სიტყვას იყენებენ; ასე მივიჩნევთ ახალი წყვილი *ჲა დიკარ*. იმავე კონტექსტში დეკარ სიტყვას უკვე აშკარა არქაული იერი დაჰკრავს.

2. მაჯარ — გამორთმევას ნიშნავს და ჯერჯერობით უცვლელად იხმარება ყველა კონტექსტში, სადაც მისი გამოყენება გამართლებულია ქართული ენის თვალსაზრისით. ბოლო დრომდე ის დამატებით იხმარებოდა აგრეთვე ბუჟსა „ღამე“ სიტყვასთან და მიღებული წყვილი *ბუჟსა მაჯარ* ცვლიდა ქართულ ენაში ხმარებულ ღამის გატარებას. ახლა აქ მის ადგილს ქართული გატარება ზმნის ზუსტი შესატყვისი დიკარ ცვლის; იტყვიან: *ცჰიჲა ბუჟსა დიკანას* „ერთი ღამე გავატარე“-ო.

3. დეტარ — გასკდომას ნიშნავს ჩვეულებრივ, მაგრამ *ბუბუკ* „ყვავილი“ სიტყვასთან ის ქართული გაიშალა სიტყვის მნიშვნელობას გადმოსცემდა. დღეს უზუსტობა სწორდება და ნაცვლად იმისა, რომ თქვან: *ბუბუკ დატეჲ*, ამბობენ: *ბუბუკ დარჲეჲ*. დარჲეჲ ქართული გაიშალა-ს ზუსტი შესატყვისია.

4. დოლარ — შეძვრომას ნიშნავს, მაგრამ *ჲა „ზამთარი“* სიტყვასთან ის ქართული დადგომა სიტყვის შინაარსსაც ითავსებდა. იხმარებოდა *ჲა დოლჲე* და ნიშნავდა „ზამთარი შეძვრა“, ანუ დადგა. დღეს ამ კონტექსტში აღნიშნული ზმნა *ოთჲარ* „დადგომა“ ზმნით იცვლება და ბილინგვთა ასაკობრივი დონეების მიხედვით იხმარება: *ჲა დოლჲე* ან *ჲა ოთჲე*.

5. დალარ — ამოსვლას ნიშნავს და სხვა მრავალთა შორის იხმარებოდა გამოთქმაში: *ჲა დარჲი ორჲე* დალარ, რაც შავების გახდას, სიტყვისიტყვით კი შავებიდან ამოსვლას ნიშნავდა. დღეს ამ გამოთქმაში მას დღესხარ „გახდა“ შეენაცვლა და გვაქვს: *არჲიჲე დღესხარ* „შავების გახდა“.

ისეთ შემთხვევაში, როცა არ ხერხდება ზუსტი შესატყვისის თვით ბაცბურში დაძებნა, კონტექსტში „უჩვეულო“ სიტყვის ადგილს ქართულიდან ნასესხები სათანადო სიტყვა იჭერს. მაგალითად:

1. ბოფხბარ — ჩაცმას ნიშნავს. ქართულთან შეპირასპირებით ის უჩვეულო იყო გამოთქმაში *დოჲ ბოფხბარ* „ცხენის ჩაცმა“, სადაც ის შეკაზმვის მნიშვნელობით იხმარებოდა. საჭირო გახდა შეუსაბამობის გასწორება, მაგრამ, რადგან ასეთი საგანგებო ტერმინი ბაცბურს აკლდა, დანაკლისი სესხებამ დაფარა. ასე გაჩნდა ახალი წყვილი: *დოჲ შეკაზმადბარ* „ცხენის შეკაზმვა“.

2. დარ — ქმნას ნიშნავს და ბაცბური ენის ერთ-ერთ ყველაზე უფრო გავრცელებულ ზმნას წარმოადგენს. ქართული ჯვარისწერის შინაარსის გადმოსაცემად თავის დროზე აქ მისი დახმარებით აწარმოეს ჰიბრიდუ-

ლი გამოთქმა ჯორ დარ „ჯვრის ქმნა“. დღეს ისევ ქართული ენის გავლენით აღნიშნული ზმნა ქართულიდან ნასესხები და წერადარ ზმნით შეიცვალა (დარ აქ უკვე მეშველი ზმნაა და საწყისს აწარმოებს). პარალელურად იხმარება: ჯორ დარ/ჯორ დაწერადარ.

3. ჰათხრეფ — ქართული წინა და წინიდან სიტყვების მნიშვნელობით იხმარება გარდა იმ კონტექსტებისა, სადაც ის ქართული მაგივრად სიტყვის შინაარსსაც ითავსებდა. როგორც მოსალოდნელი იყო, შეუსაბამოა გასწორდა, მაგრამ იმის გამო, რომ ბაცბურ ენაში ვერ დაიძენა მისი ზუსტი შესატყვისი, მის ადგილას ქართული ლექსემა ჩადგა. ბილინგვთა ასაკობრივი დონეების მიხედვით გავიგონებთ: სოფ ჰათხრეფ ღობ//სოფ მაგვართ ღობ „ჩემ მაგივრად წადი“.

მსგავსი ტიპის ცალკეული მაგალითების დაძებნა კიდევ შეიძლებოდა. როგორც ვხედავთ, ხდება ბაცბური ენის კონტექსტების გასწორება ქართულ ენაში წარმოდგენილი ვითარების მიხედვით. კონტექსტების შესაბამისობაში მოყვანის აღნიშნული პროცესი დიდი სიზუსტით ხორციელდება. ამ მხრივ საინტერესოა ისეთი შემთხვევები, როცა სიტყვა ერთადერთ კონტექსტს ემსახურება და იქიდანაც იღვევება იმის გამო, ქართულს არა აქვს ასეთი სპეციფიკური ტერმინი. მაგალითად, ბაცბურში გვაქვს ზედსართავი სახელი ცუხან, რომელიც მხოლოდ ცომეულის მისამართით იხმარება და ზედმეტად ფქვილშეზელოლის კონკრეტულ შინაარსს ატარებს; გვაქვს აგრეთვე მისგან ნაწარმოები ნასახელარი ზმნა ცუხანარბარ. ქართულს ასეთი სპეციფიკური ზმნა და ზედსართავი არ გააჩნია და მათ მნიშვნელობებს სქელი და შესქელეზა ითავსებს. ამიტომაც, რომ დასახელებულმა სიტყვებმა დატოვეს თავისი ერთადერთი კონტექსტი და ჩვეულებრივი გახდა გამოთქმები: ცომ სტამბარ და სტამის ცომ, რომლებიც ქართული ცომის შესქელეზა და სქელი ცომის ზუსტ შესატყვისებს წარმოადგენენ.

სიტყვათა დაკარგვის დასახელებული შემთხვევები შეიძლება დავასახლოთ, როგორც აზროვნების ქართული მოდელის გავლენა ბაცბური ენის სათანადო მოდელზე. იმის გამო რომ ბაცბები დღეისათვის სრულყოფილად დაეუფლნენ აზროვნების ქართულ მოდელს, მათ ამ უკანასკნელის შესატყვისობაში მოჰყავთ მშობლიური ენა. გასასწორებელი, შეიძლება ითქვას, რომ ამ მიმართულებით ცოტა დარჩა. გასწორდა ფრაზეოლოგიური ერთეულებიც. ხანდაზმულთა მეტყველებაში აქა-იქ სპორადულად შემორჩენილ ბაცბურ ანდაზებსა და ფრთოსან თქმებს ახალი თაობა აღარ იცნობს. ორიგინალური ბაცბური იდიომატური თქმები იმავე შინაარსის ქართულიდან თარგმნილიმა ერთეულებმა შეცვალა.

მსგელობის დასასრულს შეიძლება დავასკვნათ, რომ:

1. შედეგის მიხედვით სიტყვათა დაკარგვის ორი სახე გვაქვს:
 - ა) როცა სიტყვა იკარგება ყველა კონტექსტიდან და
 - ბ) როცა სიტყვა იკარგება ზოგიერთი კონტექსტიდან.
2. გამომწვევი მიზეზების მიხედვით კი უნდა განვასხვაოთ იმავე პროცესის სამი სახე:
 - ა) როცა სიტყვის ბედს საგნის ბედი წყვეტს;
 - ბ) როცა სიტყვის ბედს სიტყვა წყვეტს და
 - გ) როცა სიტყვის ბედს ენის შინაარსობრივი სტრუქტურა წყვეტს.

ი. გოგებაშვილის სახ.
თელავის სახელმწიფო პედაგოგიური
ინსტიტუტი

М. М. МИКЕЛАДЗЕ

 РОЛЬ СТРУКТУРЫ СОДЕРЖАНИЯ ЯЗЫКА В ПРОЦЕССЕ
УТРАЧИВАНИЯ СЛОВ

(По материалам бацбийско-грузинского двуязычия)

Резюме

На материале бацбийско-грузинского двуязычия показано, что в условиях двуязычия одним из факторов утрачивания слов является существующая разница в структурах содержания контактирующих языков; приведены примеры, где бацбийские слова стали архаизмами и исчезли из некоторых контекстов потому, что соответствующим контекстам грузинского языка было чуждо их применение.

LINGUISTICS

M. M. MIKELADZE

 THE ROLE OF THE STRUCTURE OF THE LANGUAGE CONTENT
IN THE PROCESS OF LOSS OF WORDS (AS EXEMPLIFIED BY
BATSBIAN-GEORGIAN BILINGUALISM)

Summary

Using the material of Batsbian-Georgian bilingualism, it is shown that in conditions of bilingualism one of the factors of archaization and disuse of words is the difference in the content structures of contacting languages. Examples are cited in which Batsbian words have become archaic and disappeared from certain contexts because their use was unusual in corresponding Georgian contexts.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. А. Чикобава. Ежегодник иберийско-кавказского языкознания. Тбилиси, 1975.
2. Г. Глисон. Введение в дескриптивную лингвистику. М., 1959.



ი. ჯოღობაძე

მოკლე და ნაზალური ხმოვნების საკითხისათვის წოვა-თუშურში
 (ბაცვურში)

(წარმოადგინა აკადემიკოსმა არნ. ჩიქობავამ 5.7.1977)

წოვა-თუშურ ენაში სპეციალისტები გამოყოფენ ოთხ მოკლე და ხუთ ნაზალურ ფონემატური მნიშვნელობის ხმოვანს (წ, ო, ო, უ; აე, ეე, იე, იე, უე).

როგორც ცნობილია, წოვა-თუშური ენის პირველი გრამატიკა შეადგინა ი. ცისკარიშვილმა (Краткая Тушино-цовская Грамматика, рукопись, 1848) ნ. გრეჩის პრაქტიკული რუსული გრამატიკის მიხედვით (Практическая русская Грамматика, СПб, 1827). იობ ცისკარიშვილის გრამატიკას თან ერთვის სალექსიკონო მასალა და გაბმული ტექსტები. ეს ლექსიკური მასალა საფუძვლად დაედო შიფნერის მონოგრაფიას «ცდა თუშთა ენის შესახებ, ანუ ქისტური კილოს შესახებ თუშეთში» [1].

ი. ცისკარიშვილს არც მოკლე ხმოვნები შეუნიშნავს წოვა-თუშურში და არც ნაზალური; ა. შიფნერმა ამ ენაში დაადასტურა ო და უ მოკლე ხმოვნების არსებობა სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში არაფონემატური მნიშვნელობით.

ი. ცისკარიშვილის ენობრივ მასალაში გრაფიკულად არაა ასახული მოკლე და ნაზალური ხმოვნები, მაგრამ ზოგი ფაქტი მიგვანიშნებს აქ მათ არსებობაზე.

ისეთი სიტყვები, რომლებიც დღეისათვის მოკლე ხმოვნებზე თავდებ-, ი. ცისკარიშვილის მასალაში ორ რიგს ქმნის: აქ ზოგი მათგანი სრულ ხმოვნებზე დასრულებულადაა წარმოდგენილი, ზოგს კი ბოლოკიდური ხმოვანი სრულიად აღარ უჩანს. მაგალ.: ერთი მხრით: ეაშო „ძმა“, დაყო „იდაყვი“, ჩაკო „სკამი“, ქორთო „თავი“, ასე „ხბო“... მეორე მხრით: ბაყ „კეცი“, ზოკ „სოკო“, გაუგ „მუხლი“, ჯაუჯ „მტრედი“, კოჟტ „კატა“ ... დღეისათვის გვაქვს: ეაშო, დაყო, ჩაკო, ქორთო, ასე, ბაყო, ზოკო, გაუგო, ჯაუჯო, კოჟტო...

ამრიგად, ავტორი ხან არჩევს სიტყვის ბოლოს მოკლე ხმოვანს და ხან ვერ არჩევს; როცა ვერ არჩევს, ხმოვანმოკვეცილი სახით წარმოგვიდგენს ასეთ სიტყვას, ხოლო როცა არჩევს, — სრულ ხმოვანზე დამთავრებულად.

აი, რას წერს ა. შიფნერი მოკლე ხმოვნების შესახებ: „ორმარცვლიანი სიტყვის ბოლოს ო და უ თუ უმახვილოა, ისე მოკლედ წარმოითქმის, რომ გაპირვებით გაარჩევს კაცი ხმოვანს“ ([1], § 4).

ა. შიფნერი არას ამბობს ა, ე, ი ხმოვანთა სიმოკლის შესახებ, მაგრამ წოვა-თუშურში მრავალმარცვლიანი სიტყვების ბოლოს მოკლე ო და უ ხმოვნების გარდა, დასტურდება აგრეთვე მოკლე ო და უ, ხოლო ა ხმოვანი უკვალოდ ქრება იმავე პოზიციაში, სადაც სხვა დანარჩენები მოკლდება [2].

ა. შიფნერი წერს: „მიუხედავად იმისა, რომ ორმარცვლიან სიტყვათა მნიშვნელოვანი წილი სახელობითის წარმოებისას უცვლელი რჩება (მაგალ.:

ჩაკო „სკამი“, სტაბო „შემოდგომა“, დაყო „იდაყვი“, ბაკო „ფიჭვი“...), ბევრი მათგანი შემოკლებული ფორმითაც გვხვდება (მაგალ.: ქორთო → ქორთო „თავი“, მარლ'ო → მარლ' „ცხვირი“, ყერო → ყერ „ჭვრიე“, თაბწო → თაბწ „შუბი“, პჰოროა → პჰორ „ვახშამი“). სხვა შემთხვევაში კი მხოლოდ ხმოვანმოკვეცილი ფორმები გვაქვს (მაგალ.: ზერ ← ზერა „ქვა“, მარკ ← მარკა „მარკა“, ლამ ← ლამუ „მთა“) [1], § 100.

ა. შიფნერის ამგვარი მსჯელობა მრავალმარცვლიანი სიტყვების ბოლოს ხმოვანთა მოკვეცის სამ სტადიაზე მოგვანიშნებს:

1. ზოგ სიტყვაში ბოლოიდური ხმოვანი ჯერ არ გამქრალა;
2. სრულ ხმოვანზე დამთავრებული და ხმოვანმოკვეცილი ფორმები ჯერჯერობით პარალელურად არსებობენ;
3. ზოგ სიტყვას საბოლოოდ მოკვეცვა ბოლოიდური ხმოვანი.

თუ ვირწმუნებთ სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას ა ხმოვნის უკვალოდ გაქრობის შესახებ ბოლოიდურ პოზიციაში [2], რომელსაც მხარს უჭერს ა. შიფნერის გამონათქვამიც — ზერ, პჰორ, მარკ სიტყვებში ბოლოიდური ა-ს საბოლოო მოკვეცის შესახებ (ლამ სიტყვაშიც საბოლოოდ გაუჩინარებულია ბოლოიდური უ ხმოვანი), მაშინ, ა. შიფნერის მიერ პარალელური ფორმებით მოცემულ ე, ი, ო, უ, ხმოვნებზე დასრულებული სიტყვების ბოლოს უნდა ვივარაუდოთ მოკლე ხმოვნები. დღე ი ს ა თ ე ი ს გ ვ ა ქ ე ს: ქორთო, მარლ'ო, ყერო, თაბწო.

ა. შიფნერმა ასეთი სიტყვები ლექსიკონშიც პარალელური ფორმებით შეიტანა, მაგალ.: ავე, ავ „ნადირი“, ალე, ალ „ბატონი“, კოიტი, კოიტ „კატა“, გარგე, გარგ „ახლოს“, გოგო, გოგ „ბეჭედი“, მარხო, მარხ „მარხვა“... დღე ი ს ა თ ე ი ს გ ვ ა ქ ე ს: აგე, ალე, კუატე, გარგე, გოგე, მარხო.

ამრიგად, ა. შიფნერის მიერ ნაჩვენები ენობრივი მასალა იმასაც გვაფარაუდებინებს, რომ მისი დროისათვის გარდა მოკლე ო, უ ხმოვნებისა, არსებობდა ე და ი მოკლე ხმოვნებიც; ამდენად, მისი დებულება მრავალმარცვლიანი სიტყვების ბოლოს უმახვილო პოზიციაში ო და უ ხმოვანთა დასრულების ანუ დამოკლების შესახებ, მისივე მაგალითების მიხედვით ე, ი ხმოვნებზედაც შეიძლება გავრცელდეს.

ფაქტიურად მოკლე ხმოვნებზე დასრულებული სიტყვების მსგავსად, ი. ცისკარიშვილის ენობრივ მასალაში, ნაზალურ ხმოვანზე გათავებული სიტყვები ხან თავდაპირველ ნ-ს გვიჩვენებენ სიტყვის ბოლოს, ხან უმისოდ წარმოვიდგებოან. მაგალ.: ე რ თ ი მ ხ რ ი თ: დო „ცხენი“, ქარსა „საბელი“, გვირგვი „გვირგვინი“, გაზა „თხა“; მ ე ო რ ე მ ხ რ ი თ: ანბან „ანბანი“, ზაფრან „ზაფრანი“... დღე ი ს ა თ ე ი ს გ ვ ა ქ ე ს: დო, ქარსა, გვირგვი, გაზა, ანბა, ზაფრა.

ცხადია, ორსავე შემთხვევაში ნაზალურ ხმოვნებზე იყო დასრულებული ეს სიტყვები, რომელთაც ბოლოიდური ნ დღესაც ნაზალობის სახითა აქვთ შემორჩენილი წინამავალ ხმოვნებში.

სპეციალურ ლიტერატურაში მიჩნეულია, თითქოს ა. შიფნერს წოვათურში დედასტურების ხმოვანთა ნაზალიზაციის ფაქტი [3]. ეს კი გამოწვეულია ა. შიფნერის მონოგრაფიის § 58-ში წამოყენებული დებულების არაზუსტი გაგებით. აქ იგი წერს: თანხმოვნის დაკარგვის აუსლაუტში გვხვდებით: „სახელობითი ბრუნვის წარმოებისას, როცა უმეტესწილად რ და ნ თანხმოვნები სცილდება ფუძეს, რაც პირველ შემთხვევაში ხმოვნის „გაბუნდოვანებას“ (Trübung) იწვევს იხ. § 99, მაგალ.: პჰუ „ძალი“ ფუძიდან — პჰარ, ბსტუ „ხარი“ ფუძიდან — ბსტარ, წე „ცეცხლი“ ფუძიდან — წარ, შო „წელიწადი“ ფუძიდან — შარ, ბსტუ „ქალი“ ფუძიდან — ბსტუნ, ვე „ღვინო“ ფუძიდან — ვენ, დე „დღე“ ფუძიდან — დენ, ცჰა „ერთი“ ფუძიდან — ცჰან, ში „ორი“ ფუძიდან — შინ (§ 142), მე „ვინ“ ფუძიდან — მენ.

§ 99-ში, რომელზედაც მიუთითებს ავტორი ხმოვნის „გაბუნდოვანების“ დასაზუსტებლად, კვითხულობთ: „სიტყვის ბოლოს ფუძისეული თანხმოვნის მოკვეცის შესახებ უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს მოვლენა ყოველთვის როდი იწვევის ფუძისეული ხმოვნის ცვლას, როგორც — პჰუ ← პჰარ „ძალი“, ბსტუ ← ბსტარ „ხარი“, შო ← შარ „წელიწადი“, წე ← წარ „ცეცხლი“ სიტყვები გვიჩვენებს, არამედ პირიქითაც ხდება, მაგალ.: ვე ← ვენ „ღვინო“, დე ← დენ „დღე“, ბსტუ ← ბსტუნ „ქალი“.

როგორც ვხედავთ, ავტორი აქაც რ თანხმოვნის მოკვეცის შედეგად ა ხმოვნის უ -დ შეცვლის შესახებ მსჯელობს და არა ნ თანხმოვნის დაკარგვის შედეგად წინამავალი ხმოვნის ელფერის შეცვლაზე.

ა. შიფნერი Trübung („გაბუნდოვანება“) ტერმინს Schwächung-ის („შესუსტება“) პარალელურად ხმარობს Verstärkung-ის („გაძლიერება“) საპირისპიროდ და მასში გულისხმობს ხმოვნის დაეწროვებას, კერძოდ, ა → ე, ა → უ, ო → უ... მონაცვლეობას.

ა. შიფნერს ხმოვანთა ნაზალიზაციის ფაქტი ვამორჩა მხედველობიდან, თორემ სიტყვის ბოლოს ნ თანხმოვნისა და მისი მომდევნო ხმოვნის მოკვეცის ფაქტი ცნობილი იყო მისთვის: „უცხო სიტყვებში ნ მომდევნო ხმოვანთან ერთად სცილდება ფუძეს, მაგალ.: გუთა ← გუთანი, მელა ← მელანი, მღივა ← მღივანი, საპო ← საპონი, საღვი ← საღვინე, ტარხუ ← ტარხუნა (§ 59).

ა. შიფნერს ხმოვანთა ნაზალიზაციის შესახებ არც მაშინ უთქვამს რამე, როცა ისეთ მორფოლოგიურ კატეგორიებს განიხილავდა, სადაც უეჭველად მონაწილეობს ნაზალური ხმოვანი.

1. ა. შიფნერი ხუთივე ხმოვნის დახსიათებისას მიუთითებს, რომ ისინი ზედსართავი სახელების აუსლაუტში დასტურდება (§ 10—15); ო ხმოვნის მიმართ კი საგანგებოდ აღნიშნავს: „მრავალმარცვლიანი სიტყვების ბოლოს იგი იკარგება... მაგრამ რალაც მკვიდრი, მყარი ბუნებისაა იგი ზედსართავებთან (§ 14).

ავტორის დაკვირვება ზედსართავებში ო ხმოვნის სიმყარის მიმართ აიხსნება მისი ნაზალურობით. ცნობილი დებულების თანახმად, ზედსართავი სახელები იწარმოება ნაზალური ხმოვნებით, რაც ხელს უშლის მათ დამოკლებას.

2. ნათესაობითი ბრუნვის ნიშნებად ავტორი ი და ე ხმოვნებს ასახელებს (§ 102). ცნობილია, რომ ნათესაობითის სუფიქსებია ნაზალური ი და ე.

3. ინფინიტივის სუფიქსად ა ხმოვანს თვისის (§ 200) მაშინ, როდესაც ინფინიტივს ნაზალური აჲ აწარმოებს.

4. ნამყო წყვეტილის დაბოლოებად ი და ე ხმოვნებს მიიჩნევს, ფაქტიურად კი ეს ხმოვნები ნაზალურია.

5. სიტყვის ფუძეზე ე კავშირის დართვის შედეგად გამოვლენილი ნ თანხმოვანი ჩართულად, განვითარებულად მიაჩნია (§ 61). სინამდვილეში ეს ის ფუძისეული ნ-აა, რომელიც ნაზალობის სახით არსებობდა წინამავალ ხმოვანში.

ნაზალური ხმოვნები რომ ა. შიფნერის დროისათვის უკვე ჩამოყალიბებული იყო, ამას ცხადყოფს მის მიერ ნ თანხმოვნის მოკვეცის ფაქტის აღნიშვნა: რადგანაც მათი წარმოშობა სწორედ ამ ფონეტიკურ პროცესთანაა დაკავშირებული.

ფაქტიურად ნაზალურ ხმოვნებზე დასრულებული სიტყვები ა. შიფნერის ნაშრომში ჩვეულებრივ ხმოვნებზე დასრულებულად წარმოგვიდგება: აღმია „აღამიანი“, დო „ცხენი“, ქარსა „საბელი“, ქოთა „ქოთანი“, უჩი „უჩინო“, აფე „მწვანე“... უ ნ დ ა ი ყ ო ს: აღმიას, დოს, ქარსას, ქოთას, უჩის, აფეს...

მხოლოდ რამდენიმე სიტყვას ვხედავთ ა. შიფნერის ლექსიკონში, რომლებიც ნაზალური ხმოვნების ნაცვლად თავდაპირველი ნ-თი თავდება. ესე-

ნია: ანბან „ანბანი“, ენ „ჩრდილი“, გონ „გონი“, ღან „სიზმარი“, წვენ „წვენი“, ზაფრან „ზაფრანი“ პჰან „ფრთა“. დღეისათვის გვაქვს: ანბან, ე, გონ, ღან, წვენ, ზაფრან, პჰან.

„ჩაჩხური ენის შტუდიებში“ ა. შიფნერი ორ ნაზალურ ბგერას გამოყოფს — *n*-სა და *ŋ*-ს, გამორიცხავს რა ამ უკანასკნელის არსებობას თუშურში: „ჩაჩხურსა და თუშურში თითქმის ერთნაირი ბგერები გვაქვს, ოღონდ თუშურში არ არის მსუბუქი ნაზალი *n*, რომელიც ჩაჩხურში სიტყვის თავსა და ბოლოში დასტურდება“ [4].

ამრიგად, ვერც ჩაჩხურთან შედარებამ მიიყვანა ა. შიფნერი წოვა-თუშურში ნაზალური ხმოვნების დადასტურებამდე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(შემოვიდა 7.7.1977)

ЯЗЫКОЗНАНИЕ

И. Ш. ДЖОЛБОРДИ

К ВОПРОСУ О КРАТКИХ И НАЗАЛЬНЫХ ГЛАСНЫХ В ЦОВАТУШИНСКОМ (В БАЦБИЙСКОМ) ЯЗЫКЕ

Резюме

Специалисты в цова-тушинском языке выделяют четыре кратких и пять назальных гласных (*ē, ī, ō, ū; aⁿ, eⁿ, iⁿ, oⁿ, uⁿ*).

Как известно, первая грамматика цова-тушинского языка принадлежит И. Цискаришвили (рукопись, 1848 г.), а первая монография, составленная на его лексическом материале—А. Шифнеру (1856 г.). Лексический материал, данный в этих трудах, свидетельствует о наличии кратких и назальных гласных в этом языке, однако графически ни в одной из этих работ они не отобразены.

LINGUISTICS

I. Sh. JOLBORDI

CONCERNING SHORT AND NASAL VOWELS IN THE TSOVA-TUSHI (BATSBIAN) LANGUAGE

Summary

Specialists in Tsova-Tushi language identify four short and five nasal vowels (*ē, ī, ō, ū; aⁿ, eⁿ, iⁿ, oⁿ, uⁿ*).

As is known the first grammar of Tsova-Tushian belongs to Iov Tshkar'shvili (manuscript, 1848), and the first monograph compiled on his lexical material to Anton Schifner (1856). The lexical material given in these studies points to the presence of short and nasal vowels in this language; however, they are not represented graphically in either of these works.

In the special literature Schifner was credited with establishing the fact of nasalisation of vowels in Tsova-Tushian, but this appears to have been due to an inexact interpretation of one of his statements.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. A. Schifner. Versuch über die Tausch-Sprache, oder die Khistische Mundart in Thuschetien, St-Petersburg, 1856.
2. ი. ჯოლბორდი, VIII, თბილისი, 1956, 469—478.
3. Ю. Д. Дешериев. Батсбийский язык. М., 1953.
4. A. Schifner. Tschetschenzische Studien, St-Petersburg, 1864.

შ. აზრილონიძე

ფონეტიკურ-მორფოლოგიური ცვლილებები და ლექსიკური მნიშვნელობა

(წარმოადგინა აკადემიკოსმა შ. ძიძიურმა 22.6.1977)

§ 1. ჰომორგანული, კერძოდ, სიბილანტური კომპლექსების (სზ, სჟ) გამოთქმის სიძნელე სამართლიანადაა მიჩნეული -ზე და -ში თანდებულდართულ სახელებში მიცემითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვის მიზეზად ([1], გვ. 75). მაგრამ ეგვევი მიზეზი არ უქმნის დაბრკოლებას ვის და მას ნაცვალსახელურ ფორმებს ამ თანდებულთა ხლებსას: ვისზე, ვისში; მასზე, მასში. საქმარისია ამ უკანასკნელს (მა ფუძეს) დაერთოს დეიქტური ნაწილაკები (ა-, ი-), რომ ზემოაღნიშნული დაბრკოლება კვლავ აღდგეს თავის უფლებებში: ამასზე, ამასში; იმასზე, იმასში.

ეგვევი ნაცვალსახელები მოქმედებით და ვითარებით ბრუნვათა პირველად ფორმებს ვერ აწარმოებს ვერც ერთ რიცხვში. დასტურდება მხოლოდ მით ფორმა (აკვია: ვით, ვიდ, მად), მაგრამ პრაქტიკულად იგი იხმარება ან პოეზიაში (მარცვალთა საჭიროებისათვის) ან მყარ შესიტყვებებში: მით უმეტეს, მით უფრო... პირის ნაცვალსახელების ბრუნვათა სისტემაში ოპოზიციას იგი არა ქმნის. როგორც კი მას დეიქტური ნაწილაკები წარემძღვარება, მაშინვე დაუბრუნდება თავისუფალ შესიტყვებებში მონაწილეობის უნარი (ამით, იმით; ამად, იმად). ამ ნაწილაკთა გარეშე ხსენებული ნაცვალსახელები თავიანთ მნიშვნელობას მხოლოდ ორმაგი ბრუნების გზით გვაგებინებენ (ვისით, ვისად; მისით, მისად).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვი და მა ელემენტები ფუძეებად მხოლოდ იწოდებიან, მათ ლექსიკურ მნიშვნელობას კი ბრუნვის ნიშნისეული თანხმონები (ნ. ს) ან დეიქტური ნაწილაკები (ა-, ი-) გვითვალსაზიროებენ.

მაშასადამე, აღნიშნულ ნაცვალსახელთა ლექსიკური მნიშვნელობების სიცხადისათვის მათი სტრუქტურა, სულ ცოტა, სამბეგროვანი უნდა იყოს: *cvc* (ვინ, ვის; მან, მას) ან *vcv* (ამა, იმა).

§ 2. -ვით თანდებული სამი ბრუნვის მხლებლადაა მიჩნეული ([1], გვ. 70): სახელობითის, მიცემითის და ნათესაობითისა. ამ უკანასკნელზე სალიტერატურო ქართულმა საბოლოოდ იღო ხელი. დანარჩენი ორი ბრუნვიდან სახელობითში მხოლოდ თანხმონეფუძიანი სახელები დგას, მიცემითის ხმარების არე კი უფრო ვრცელია და პერსპექტიულიც [2-4] (შდრ. [5]).

-ვით თანდებულთან სახელობითში წარმოდგენილ საზღვრულთან ჩვენებითი ნაცვალსახელის შეუთანხმებლობა (არ შეიძლება: ეს კაცივით) ექვემდებარება ნომინატივის საკითხს [2]. მართლაც: ა) თანდებულის დართვა სახელობითზე „უჩვეულოა ქართული თანდებულისათვის და საერთოდ წინდებულების მქონე სხვა ენებისთვისაც“ [6]; ბ) ზმნიზედურ-კავშირული წარმოშობა -ვით ელემენტისა არაფერს ამბობს ოდენსახელობითის სასარგებლოდ, რადგან ამ ელემენტთან სახელი იხმარება ყველა ბრუნვაში, გარდა წოდებითისა; გ) ფუნქციური ანალოგები (-ებრ, დარად, მსგავსად) ნათესაობითს მოითხოვს [7]: მგლებრ, და არა მგელებრ (შდრ. [1]), გვ. 603); მიცემითსა და ნათესაობითს ყველაზე მეტი საზიარო თანდებულები დაერთვის [3,8]. ამიტომ გარკვეულ შემთხვევებში ამ ბრუნვათა ფორმები შეიძლება და ომორფორული გამხდარიყოს: ი, ო, უ ხმოვნებზე ფუძეგათავებულ ანელა-

ტივებში, ყველა ფუძემოენიან ანთროპონიმში და ა ხმოვნით ნაწარმოებ სახელებში. სავარაუდებელია, რომ ომოფორმულობის თავიდან ასაცილებლად ენამ მორფოლოგიური დისიმილაციის გზა იპოვა: თანხმოდანფუძიანებთან დატოვა ის ფორმა, რომელიც განამსგავსებდა ნათესაობის მიცემებისგან, ე. ი. -ის ა ელემენტიდან დატოვა ი ელემენტი, რასაც ნომინატივის შიბბე-ჭდილება უნდა შეექმნა. თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ სახელობით და მიცემით ბრუნვათა აღნიშნული დისტრიბუციის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად მიჩნეულია მოქმედებითისა და -ვით თანდებულის ფორმათა აღრევის საფრთხე (მდრ.: ხევი-ით და ხე-ვით [7]), ცხადი გახდება, რომ ფორმალურ დიფერენციაციამე თავისი წვლილი შეაქვს ენის ლექსიკურ-სემანტიკური „თავდაცვის უნარს“

